№ 171 13 დეკემბერი 2021 წ.

დ ა ს კ ვ ნ ა

მწვანე ნარგავების (მერქნიანი მცენარეების) სახეობრივი მდგომარეობის, ხარისხობრივი შეფასების და გადარგვის შესახებ

2021 წლის 13 დეკემბერს მისამართზე: ქალაქი თბილისი, მთავარანგელოზის ქუჩა N30-ის ტერიტორიაზე (საკადასტრო კოდი: 01.17.01.048.021), რომლის ფართობია 394.00 მ^2, ხოლო შ.პ.ს „მ4“ (საიდენთიფიკაციო ნომერი 211374289), მეტყევე-სპეციალისტის გიორგი კაპანაძის მიერ (მწვანე ნარგავების ხარისხობრივი შეფასების დასკვნის გამცემი უფლებამოსული პირი, ექსპერტი) შემოწმდა მწვანე ნარგავების სახეობრივი მდგომარეობა და გაკეთდა მათი ხარისხობრივი შეფასება.

სულ ტერიტორიაზე განლაგებულია 14 ძირი ფოთლოვანი მწვანე ნარგავი, მათ შორის 8 ძირი ხილ-კენკროვანია.

საპროექტო არეალში ხვდება 13 ძირი მწვანე ნარგავი (N1, N2, N3, N4, N5, N6, N7, N8, N9, N10, N11, N12 და 14). დამკვეთს სურვილი აქვს გადარგოს იმავე საკადასტრო კოდზე 5 ძირი მწვანე ნარგავი N4, N5, N9, N12 და N14, დამკვეთს აგრეთვე სურვული აქვს მოჭრას 8 ძირი ხილ-კენკროვანი მწვანე ნარგავი: N1, N2, N3, N6, N7, N8, N10, N11.

ცხრილში მოცემულია ქალაქ თბილისში, მთავარანგელოზის ქუჩა N30-ის ტერიტორიაზე (საკადასტრო კოდი: 01.17.01.048.021), მწვანე ნარგავების (მერქნიანი მცენარეების) სახეობები, ფიზიკური მდგომარეობა და დიამეტრები მიწის ზედაპირიდან 10 სმ სიმაღლეზე:

ცხრილი N 1

ხის №	მერქნიანი სახეობა	დიამეტრი მიწის პირიდან 10 სმ-ზე	ხის მდგომარეობა	შენიშვნა
1	2	3	4	5
1	ლეღვი - Ficus carica	28.3	ჯანსაღი	ხილ-კენკროვანი
2	ლეღვი - Ficus carica	30.5	ჯანსაღი	ხილ-კენკროვანი
3	ლეღვი - Ficus carica	26.4	ხმობადი	ხილ-კენკროვანი
4	დაფნა -Laurus nobilis	3	ჯანსაღი	ექვემდებარება გადარგვას

5	თუთა - Morus alba	8.1-28	ჯანსაღი	ექვემდებარება გადარგვას
6	ტყემალი - Prunus ssp	3.1-12	ჯანსაღი	ხილ-კენკროვანი
7	ლეღვი - Ficus carica	12.7	ჯანსაღი	ხილ-კენკროვანი
8	ქლიავი - Prunus ssp	7	ჯანსაღი	ხილ-კენკროვანი
9	თუთა - Morus alba	20.5	ჯანსაღი	ექვემდებარება გადარგვას
10	ქლიავი - Prunus ssp	8.1	ხმობადი	ხილ-კენკროვანი
11	ქლიავი - Prunus ssp	3	ჯანსაღი	ხილ-კენკროვანი
12	ოლეანდრე ჩვეულებრივი - Nerium oleander	2.1-6	ჯანსაღი	ბუჩქი, ექვემდებარება გადარგვას
13	თუთა - Morus alba	16.1-60	ფაუტი	
14	თუთა - Morus alba	2.1-8	ჯანსაღი	ექვემდებარება გადარგვას

მწვანე ნარგაობის (მერქნიანი მცენარეების) დასურათება მისი ნომერაციის მიხედვით:

1.ლეღვი 2. ლეღვი



3.ლეღვი 4. დაფნა



5. თუთა 6. ტყემალი



7.ლეღვი 8. ქლიავი



9.თუთა 10. ქლიავი



11.ქლიქი 12.ოლიანდრა



13. თუთა 14.თუთა



მწვანე ნარგავები, რომლებიც დიამეტრით 25-სმ-მდეა, ექვემდებარება გადარგვას სხვა ალტერნატიულ ადგილზე, აგროტექნიკური ღონისძიებების სრული დაცვით, კერძოდ წინასწარ ორმოს მომზადება, გადასარგავი მცენარის ამოღება ბელტის დაუშლელად და გადარგვა წინასწარ გამზადებულ ორმოში, გაუკეთდეს სარწყავი ჯამი და მოირწყას რეგულარულად, ვინაიდან მცენარეების დიამეტრები არის მცირე და მცენარეები არიან ახალგაზრდები მათი გადარჩენის შანსი საკმაოდ დიდია.

გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ პრიორიტეტულია მწვანე ნარგავების გადარგვა, ვიდრე მათი მოჭრა.

25 სმ-ზე მეტი დიამეტრის ხე-მცენარის გადარგვა უნდა განხორციელდეს შემდეგი მეთოდოლოგიით:

1-ხე-მცენარის გადარგვის პერიოდი:

გადარგვა ხდება იმ პერიოდში, როდესაც მცენარე მოსვენების ფაზაშია (არასავეგეტაციო პერიოდი), მცენარის მოსვენების პერიოდი იწყება შემოდგომაზე, ჩვეულებრივ ფოთოლცვენის დროს (სექტემბერი-ოქტომბერი) და მთავრდება გაზაფხულზე (თებერვალი-მარტი). ეს არის ფიზიოლოგიური პროცესი, როდესაც მცენარეში წვენის მოძრაობა ჩერდება. წიწვოვნები, დახურული ფესვთა სისტემით, შეიძლება გადაირგოს მთელი წლის განმავლობაში, გარდა ზამთრისა (მიზანშეწონილია გადარგვა განხორციელდეს მცენარის არასავეგეტაციო პერიოდში).

2-ამოღება

ხე-მცენარეების დასარგავ ფართობამდე გადასატანად თავდაპირველად მათი ამოღებაა საჭირო. ამ პროცესის დასაწყისში ტოტები თავისუფლად (მოსვენებულად) უნდა შეიკრას. დიდტანოვენი ხე-მცენარეების შემთხვევაში ხდება ვარჯის გადაბელვა-ფორმირება. კომის სიდიდე განისაზღვრება ხის დიამეტრის დაახლოებით ათმაგი ოდენობით, (მაგ: D=30 სმ. კომის დიამეტრი =30 სმ * 10 = 300 სმ.). ხე-მცენარის კომის გარშემო, თხრილი ისე უნდა გავთხაროთ, რომ ის კომის დიამეტრს 1 მეტრით აღემატებოდეს. კომი მანამდე უნდა მოვთხაროთ, სანამ მისი ძირი არ მოიჭრება (სიღრმე დაახლოებით 2 მ) კომის გარეთ დარჩენილი ფესვები დიდი სიფრთხილით უნდა შევჭრათ, მას შემდეგ რაც კომი ნაწილობრივ გაშიშვლდება, უნდა მოხდეს ჯვალოს ნაჭერში შეფუთვა. დიდტანოვანი ხე-მცენარის შემთხვევაში შესაძლებელია აუცილებელი გახდეს ჰორიზონტალური ბურღვა სპეციალური ტექნიკის საშუალებით, რომლის შედეგადაც ხდება კომის ქვედა ძირის მყარ პლატფორმაზე ფიქსირება, ასევე პლატფორმის გარშემო, კომის გვერდითი კედლების ნაჭრით ამ ფიცრის მარტივი კონსტრუქციის, მკვრივი შეფუთვის უზრუნველყოფა, რათა თავიდან ავიცილოთ კომის დაშლა და ფესვთა სისტემის დაზიანება. ეს პროცესი კომის ძირიდან უნდა დაიწყოს და ფესვის ყელამდე შეიფუთოს. ხე-მცენარის უსაფრთხოდ გადასატანად სანდოდ უნდა მიემაგროს სატრანსპორტო საშუალებაზე, რათა არ მოხდეს მისი მექანიკური დაზიანება.

3 ხე-მცენარის დარგვა.

არ არის მიზანშეწონილი ხე-მცენარის დიდი ხნით ღია ფესვებით გაჩერება, შეძლებისდაგვარად დროულად უნდა მოთავსდეს წინასწარ მომზადებულ ორმოში, რათა არ მოხდეს ფესვების გამოშრობა და დაზიანება. ხე-მცენარის ორმოში მოთავსების დარჩენილი სიცარიელე საგულდაგულოდ უნდა ამოივსოს ნიადაგით, კარგად მიიტკეპნოს და მოირწყას, რის შედეგადაც ხდება ჟანგბადის გამოდევნა ნიადაგიდან და ფესვთა სისტემის უშუალო, მჭიდრო კავშირი ნიადაგთან.

ყოველივე ზემოთ აღნიშნული ღონისძიება უნდა განხორციელდეს სპეციალური მძიმე ტექნიკის საშუალებით, კერძოდ: ამწეკრანი-არანაკლებ 15 ტონიანი ტვირთამწეობით, იგივე ტვირთამწეობის ექსკავატორით და საჭიროების შემთხვევაში შესაბამისი ტვირთამწეობის სატვირთო ავტომობილით.

გადარგვის შემდგომ აუცილებელია მოხდეს ხე-მცენარის არანაკლებ სამი მხრიდან დაფიქსირება მკვრივი თოკით, რომელიც ერთის მხრივ მიმაგრებულია ხე-მცენარის ღეროზე 4-5 მეტრის სიმაღლეზე, ხოლომ მეორეს მხრივ მიწაში არანაკლებ 1 მეტრის სიღრმეზე ჩარჭობილი მეტალის ან ხის ბოძებზე, რომელიც დაახლოებით 45 გრადუსი კუთხით უნდა იყოს დახრილი და საიმედოდ მიმაგრებული, ადგილი სადაც ხდება თოკსა და ხე-მცენარის შორის კონტაქტი უნდა იყოს ჯვალოს მკვრივი ნაჭრით შემოხვეული მცენარის ღეროზე, რათა თავიდან იქნას აცილებული ქარის დროს რყევის შედეგად ხე-მცენარის ღეროს მექანიკური დაზიანება, რამაც შეიძლება გამოიწვიოს მავნებლის ან დაავადების კერის შექმნა და დროთა განმავლობაში ხე-მცენარის ხმობა. ყოველივე ზემოთ აღნიშნული ღონისძიების დასრულების შემდგომ მიზანშეწონილია ხე-მცენარის სასუქით და სხვა მკვებავი საშუალებებით დამუშავება, რაც ხელს შეუწყობს გადარგვის შემდგომი სტრესის დაძლევას და ხე-მცენარის მოძლიერებას. გადარგვა შესაძლებელია მხოლოდ სპეციალური ტექნიკის და სათანადო

გამოცდილების პერსონალის მეშვეობით, აუცილებლად სატყეოს დარგის სპეციალისტების დაკვირვების ქვეშ, ზემოთ ჩამოთვლილი აგროტექნიკური ღონისძიებების სრული დაცვით.

მწვანე ნარგავების (მერქნიანი მცენარეების) ვიზუალური დათვალიერება განახორციელა გიორგი კაპანაძემ, რომელიც ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2018 წლის 28 ივნისის N 1-369 ბრძანებით დარეგისტრირდა გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის მონაცემთა ბაზაში მწვანე ნარგავების ხარისხობრივი შეფასებაზე დასკვნის გამცემ უფლებამოსილ პირად.

დანართი: 1 გვ ;

შემსრულებელი გიორგი კაპანაძე

მეტყევე-ექსპერტი:

საქართველო

საჯარო სამართლის იურიდიული პირი

საქართველოს სახელმწიფო
სასოფლო-სამეურნეო
უნივერსიტეტი

მაგისტრის დიპლომი

SSSSU № 000076

საქართველოს სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო
უნივერსიტეტის
სატყეო სამეურნეო

ფაკულტეტის *2006* წლის *10.12* გადაწყვეტილებით
გიორგი კაპანაძეს დაბადებულს
1983 წლის *03.14* მიენიჭა
სატყეო მეურნეობის სპეციალობით,
სოფლის მეურნეობის

მაგისტრის აკადემიური ხარისხი.

ფაკულტეტის დეკანი
ბ.ა.
რექტორი
2007 წ. 16 თებერვალი

ქ. თბილისი

საარქივისტრაციო № 000076

GEORGIA

LEGAL ENTITY OF PUBLIC LAW

GEORGIAN STATE
AGRICULTURAL
UNIVERSITY

MASTER'S DIPLOMA

SSSSU № 000076

This is to certify that by the decision of *2006.10.12*
of the *Forestry*
faculty
of the GEORGIAN STATE AGRICULTURAL UNIVERSITY
Mr./Ms. *Giorgi Kapanadze*
born on *1983.03.14* was awarded Master's Academic Degree
with a Major in
Agriculture

Seal
Dean of the Faculty
Rector
February 16, 2007

City TBILISI

REGISTRATION No. 000076

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია
გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური

წერილის ნომერი: **18-01181862754**
თარიღი: **06/07/2018**

ადრესატი: გიორგი კაპანაძე
პირადი ნომერი: 38001006370
მისამართი: ავლაბარი, საინგილოს N 76

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურმა (შემდგომში მოხსენებული, როგორც „სამსახური") განიხილა, თქვენი 2018 წლის 11 და 17 მაისის განცხადებები (#19/01181311437-18; 19/01181372825-18) რომლითაც ითხოვთ მწვანე ნარგავების ხარისხობრივ შეფასებაზე დასკვნის გამცემ უფლებამოსილ პირად (ექსპერტად) დარეგისტრირებას.

გაცნობებთ, რომ „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის მონაცემთა ბაზაში მწვანე ნარგავების ხარისხობრივ შეფასებაზე დასკვნის გამცემი უფლებამოსილი პირის რეგისტრაციის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2018 წლის 28 ივნისის # 1-369 ბრძანების საფუძველზე, თქვენ დარეგისტრირდით მწვანე ნარგავების ხარისხობრივ შეფასებაზე დასკვნის გამცემ უფლებამოსილ პირად (იხილეთ დანართი).

წინამდებარე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი შესაძლოა გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), დაინტერესებული მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

დანართი: 1 (ერთი) გვერდი.

პატივისცემით,

გიგა გიგაშვილი

გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური-პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (საქალაქო სამსახურის უფროსი)

0160
ა(ა)იპ მუნიციპალური სერვისების განვითარების სააგენტო
ჟ. შარტავას, 7

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი

ბრძანება №1-369

"28" ივნისი 2018 წ.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის მონაცემთა ბაზაში მწვანე ნარგავების ხარისხობრივ შეფასებაზე დასკვნის გამცემი უფლებამოსილი პირის რეგისტრაციის შესახებ


,,ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მწვანე ნარგავების დაცვის, მოვლისა და აღდგენის წესის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-55 დადგენილების პირველი მუხლით დამტკიცებული წესის (დანართი 1) 27^3 მუხლის მე-2 პუნქტისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის უფროსის 2018 წლის 25 ივნისის №18-01181763184 წარდგინების საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. მოქალაქე გიორგი კაპანაძე (პ/ნ 38001006370) დარეგისტრირდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურში, მწვანე ნარგავების ხარისხობრივ შეფასებაზე დასკვნის გამცემ უფლებამოსილ პირთა მონაცემთა ბაზაში.
2. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილეს მაია ბითაძეს.
3. ამ ბრძანების გასაჩივრება, დაინტერესებული მხარის მიერ, შესაძლებელია მისთვის ბრძანების გაცნობიდან ერთ თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ №6), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

კახა კალაძე

ტოპო-გეგმა
ქ. თბილისი, მთავარანგელოზის ქ. №30
ფართობი 394 კვ.მ.



გარშემო რეგისტრირებული ობიექტები

საკუთრებაში არსებული ტერიტორია

ლურჯი და წითელი ხაზები დატანილია საჯარო რეესტრში რეგისტრირებული მონაცემების საფუძველზე

საკადასტრო კოდი: 01.17.01.048.021

დამკვეთი: შპს „04“

ქს	საცხ. სახლი	ხის ღობე	
ას	არასაცხო. სახლი	ცხაურიანი ღობე	
	მშენებარე შენობა	კედელი	
	სატრანსფორმატ. ჯიხური	ქვის ღობე	
	შარდული	წიწვოვანი ხე	
რეზერ.	რეზერვუარი	ფოთლოვანი ხე	

	ბენზინგასამართი	წყალი	
	რკინიგზა	კავშირგაბმულობა	
	იუტიემ კოორდინატები	კანალიზაცია	
	ჭა	სანიაღვრე კანალიზაცია	
	ჭა	გაზი	
	ელ. ბოძი	დაბალი ძაბვის ელექტრო ხაზი	
	ბუჩქნარი	მაღალი ძაბვის ელექტრო ხაზი	

შპს „არქიტექტორი 2005“

დირექტორი		ს.ვასაძე	შესრ. თარიღი 12.06.2019წ.
ამზომველი		ს.ვასაძე	
კომპ. შესრ.		ნ. ბიორგობიანი	მასშტაბი 1:500
დამკვეთი		შპს „04“	

მცენარეთა ექსპლიკაცია

№	მცენარეთა დასახელება	რაოდენობა	ფორმა	სიმაღლე	ღეროს გარშემოწერილობა	სასიცოცხლო ფორმა	შენიშვნა
1	კვიპაროზი -Cupressus	1	standart	3.5 მ.	10სმ. დან	წიწვიანი ხე	მარადმწვანე
2	ბზა -Buxus	10	standart	0.8 მ.	4სმ. დან	ფოთლოვანი ხე-ბუჩქი	მარადმწვანე

საპროექტო მცენარეთა ფოტოები




კვიპაროზი -Cupressus



ბზა -Buxus

სახ. ხელმძღვ.		დ. ბუნცაძე	ქ. თბილისში, მთავარანგელოზის ქ. №30-ში სასტუმროს ესკიზური პროექტი	შ.პ.ს "არქო 04"
მთ.არქიტექტორი		ი. ტვილდიანი		ფურცელი
არქიტექტორი		ი. ესიტაშვილი	მცენარეთა ექსპლიკაცია, საპროექტო მცენარეთა ფოტოები	1
არქიტექტორი		ბ. ტვილდიანი		მასშ.




პირობითი აღნიშვნები

- გარშემო რეგისტრირებული ობიექტები
- საკუთრებაში არსებული ტერიტორია
- არსებული გადასარგავი ხე-მცენარეები
- ბზა
- კვიპაროზი

გენგეგმა მ. 1:500

სახ. ხელმძღვ.		დ. ბუნცაძე	ქ. თბილისში, მთავარანგელოზის ქ. №30-ში სასტუმროს ესკიზური პროექტი	შ.პ.ს "არკო 04"
მთ.არქიტექტორი		ი. ტვილდიანი		ფურცელი
არქიტექტორი		ი. ესიტაშვილი	დენდროლოგიური გეგმა	2
არქიტექტორი		გ. ტვილდიანი		მასშ. 1:500



პირობითი აღნიშვნები

- ბარშემო რეგისტრირებული ობიექტები
- საკუთრებაში არსებული ტერიტორია
- არსებული ხე-მცენარეები
- ხე-ნარგავები, რომელიც ხელს უშლის საპროექტო შენობის მშენებლობას

საპროექტო ნაკვეთზე განთავსებული 14 მცენარე ხელს უშლის პროექტის განხორციელებას. 14 მცენარიდან ხილ-კენკროვანის (რომლის მოჭრაზეც ნებართვა საჭირო არ არის) და ხმობადი და შაუტი ხე-მცენარეების გამოკლებით გადასარგვლია 5 მცენარე, რომლებიც გადაირგვება ამავე ტერიტორიაზე საპროექტოდ გამწვანებისთვის განსაზღვრულ 112.4 კვ.მ. არეალზე

სახ. ხელმძღვ.		დ. ბუნცაძე	ქ. თბილისში, მთავარანგელოზის ქ. №30-ში სასტუმროს ესკიზური პროექტი	შ.პ.ს "არკო 04"
მთ.არქიტექტორი		ი. ტვილდიანი		ფურცელი
არქიტექტორი		ი. ესიტაშვილი	დენდროლოგიური სქემა	3
არქიტექტორი		გ. ტვილდიანი		მასშ. 1:500

დენდროლოგიური პროექტის საინფორმაციო დაფა


დამკვეთი: შ.პ.ს. „04"

საპროექტო ტერიტორიის მისამართი: ქ. თბილისი, მთავარანგელოზის ქ. №30, ს/კ:01.17.01.048.021


ნებართვის გამცემი ორგანო: ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის სამსახური

კ-3: 0.3 - 112.4 კვ.მეტრი

დენდროლოგიური პროექტის დასრულების თარიღი: 11.01.2025







დასარგავი ხე-მცენარეების სახეობა:
1 ძირი- კვიპაროზი (სიმაღლე 3.5 მ. ღეროს გარშ. 10სმ)
10 ძირი - ბზა (სიმაღლე 0.8 მ. ღეროს გარშ. 4სმ)

შესანარჩუნებელი 3 ხე და 2 ბუჩქი

ახლადდარგული ხე-მცენარეების მოვლის ხანგრძლივობა 3 წელი